ონლაინ მედიის წინასაარჩევნო მონიტორინგი

15 ივნისი - 15 ივლისი 2013

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა“ (CDI) განაახლა მედიამონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2013 წლის 15 ივნისიდან 2013 წლის 15 ნოემბრამდე და მოიცავს საინფორმაციო პორტალის ტიპის 12 ყველაზე რეიტინგულ ქართულ ვებგვერდს: netgazeti.ge, droni.ge, politico.ge, liberali.ge, news.ge, presa.ge, civil.ge, tabula.ge, garbonline.tv, for.ge, dfwatch.net, palitratv.ge. მოცემული ანგარიში მოიცავს მედიამონიტორინგის შედეგებს 15 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით.

ონლაინ მედიის მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- 2013 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში განხორციელებულ მონიტორინგთან შედარებით ონლაინ მედიაში შეიმჩნევა პოზიტიური ცვლილებები ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვის კუთხით
- განსაკუთრებით აღსანიშნავია droni.ge, რომელმაც მკვეთრად გამოსაწორა მუშაობის სტილი ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვის კუთხით.
- ჟურნალისტური ეთიკის ნორმების გაუმჯობესება შეიმჩნევა news.ge-ზეც.
- ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები სისტემატურად ირღვევა ვებგვერდებზე presa.ge და for.ge.
- მოვლენების დაუბალანსებელი და შედარებით მიკერძოებული გაშუქებით გამოირჩევა presa.ge, for.ge და droni.ge.
- ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებს მონიტორინგისთვის შერჩეული ყველა მედიასაშუალება.

- პოლიტიკური მოვლენების გაშუქებისას ძირითადად ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკურ პარტიებზე და არა საპრეზიდენტო კანდიდატებზე.
- ჭარბობს ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ.

netgazeti.ge

netgazeti.ge-ს მიერ მომზადებული სტატიები უმეტეს შემთხვევებში დაბალანსებული და მიუკერძოებელია. ხშირად ვხვდებით სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა მოსაზრებებს. მონიტორინგის პერიოდში არ გამოკვეთილა სუბიექტური მიდგომა პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატის მიმართ. თუმცა, საკმაოდ ინტენსიურად შუქდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის, როგორც განათლების მინისტრის, საქმიანობა.

მონიტორინგის მოცემული პერიოდი ემთხვევა რამდენიმე გახმაურებულ დაკავებას; შესაბამისად, ვებგვერდი საკმაოდ ინტენსიურად აშუქებს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხებს - გახმაურებულ დაკავებებს, ფარული ჩანაწერების აღმოჩენასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. აქედან გამომდინარე, ვებგვერდზე ჭარბობს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული თემები.

მონიტორინგის სუბიექტთა შორის უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენები დაფიქსირდა „ნაციონალური მოძრაობის“ (37%), პრეზიდენტისა (28%) და მთავრობის (15%) საქმიანობის გაშუქებისას.

ძირითადი მიგნების სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ვებგვერდი დღის განმავლობაში საკმაოდ აქტიურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. სტატიებში ფაქტები გამყარებულია შესაბამისი მტკიცებულებებითა და არგუმენტებით, არსად ვხვდებით ანონიმურ წყაროებზე დაყრნობით მოპოვებულ ინფორმაციას ან ფაქტების განზრახ დამახინჯებას. ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატიები მომზადებულია ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით.



Droni.ge

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში განხორციელებულ მონიტორინგთან შედარებით droni.ge-ზე შეიმჩნევა მკვეთრი ცვლილება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვის კუთხით. ჟურნალისტთა ტექსტებში თითქმის აღარ გვხვდება დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია, რაც droni.ge-სთვის, ჩვეულებრივ, დამახასიათებელი იყო. ვებგვერდზე ნათლად ჩანს დადებითი დამოკიდებულება პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, მეორე მხრივ კი უარყოფითი დამოკიდებულება პრემიერმინისტრის, მთავრობისა და „კოალიცია ქართული ოცნების“ მიმართ. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ პოლიტიკოსის კრიტიკა უმეტეს შემთხვევებში ხდება ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვით. droni.ge სუბიექტთა კრიტიკისას აღარ იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას, ზედმეტსახელებს და ა.შ.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად „ნაციონალური მოძრაობა“ შუქდებოდა (46%). ასევე, ინტენსიურად შუქდებოდა პრემიერმინისტრისა (19%) და მთავრობის (19%) საქმიანობა.

უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა პრემიერმინისტრის (65%), „კოალიცია ქართული ოცნების“ (45%) და მთავრობის (38%) საქმიანობის გაშუქებისას.

droni.ge მონიტორინგის პერიოდში არ გამოირჩეოდა თემატური მრავალფეროვნებით. უმეტეს წილად შუქდებოდა პოლიტიკურ პარტიათა აქტივობები, პრეზიდენტობის

კანდიდატთა და მთავრობის წევრთა აქტივობები. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა (დაკავებები, დაკითხვები, ფარული ჩანაწერების აღმოჩენა და ა.შ.).

ვებგვერდზე, 2012 წლის წინასაარჩევნო მონიტორინგთან შედარებით, ასევე შემცირდა ანონიმურ და ნაკლებად სანდო წყაროთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრნობით მომზადებული სტატიები. უნდა აღინიშნოს, რომ droni.ge-ზე შუქდებოდა როგორც საპარლამენტო უმცირესობის, ასევე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა კომენტარები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ droni.ge-ზე შეიმჩნევა მკვეთრი გაუმჯობესება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვის კუთხით. თუმცა, ვებგვერდი რჩება საკმაოდ ტენდენციური - აშკარაა ერთი მხრივ დადებითი დამოკიდებულება პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, ხოლო მეორე მხრივ უარყოფითი დამოკიდებულება პრემიერმინისტრის, მთავრობისა და „კოალიცია ქართული ოცნების“ მიმართ.



politico.ge

მონიტორინგის პერიოდში ვებგვერდზე ძირითადად მოკლე, საინფორმაციო ხასიათის მასალები გვხვდებოდა. politico.ge გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხშირია გადაუმოწმებელი ფაქტების გამოქვეყნების შემთხვევები. ასევე, სტატიებში შეიმჩნევა ინფორმაციის წყაროთა სიმცირე. გამოქვეყნებული მასალები ხშირ შემთხვევებში მხოლოდ ერთ ოფიციალურ წყაროს ეყრდნობა და იშვიათად არის

წარმოდგენილი განსხვავებული მოსაზრებები საკითხის მიმართ. ხშირ შემთხვევებში ოფიციალურ პირთა თითო გამოსვლა დაყოფილია რამდენიმე მოკლე ნიუსად და მხოლოდ ამონარიდია მოყვანილი ვებგვერდზე, რაც რედაქციის მიერ აქცენტების დასმის საშუალებას იძლევა. მასალებს ყოველთვის ახლავს ფოტო სურათი და ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ტელევიზიებიდან ვიდეო მასალაც. politico.ge ხშირად აქვეყნებს სხვადასხვა გამოცემის მასალებს.

მოცულობის თვალსაზრისით ყველაზე ინტენსიურად შუქდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (25%) და მთავრობის (20%) საქმიანობა. ნეგატიური ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ერგო „კოალიცია ქართულ ოცნებას“ (50%), მთავრობას (39%) და პრემიერ მინისტრს (37%). დადებითი ტონი გამოვლინდა გიორგი მარგველაშვილის (9%) საქმიანობის გაშუქებისას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლებში მის მიერ ხშირად იყო მოხსენიებული გიორგი მარგველაშვილი დადებით კონტექსში და ეს ფაქტორი ნაწილობლივ იკვეთბა 9%-იან მაჩვენებელში.



liberali.ge

მონიტორინგის პერიოდში liberali.ge ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაშუქებისას მასალების სიმცირით გამოირჩევა. რიგ შემთხვევებში მთავარი თემები არ არის ამომწურავად გაშუქებული. მასალები მოცულობით პატარა ზომისაა და ძირითადად ერთ ოფიციალურ წყაროს ეყრდნობა. ვებგვერდი მნიშვნელოვანი

მოვლენების გაშუქებისას საკმაოდ მიუკერძოებელი და ობიექტურია. ასევე, მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

რაოდენობრივი თვალსაზრისით ყველაზე ინტენსიურად შუქდებოდა მთავრობის საქმიანობა (48%). ნეგატიური ტონის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი ერგო: „კოალიცია ქართულ ოცნებას“ (75%), პრეზიდენტს (67%) და მთავრობას (35%). პოზიტიური ტონი მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ იკვეთება პროცენტული მაჩვენებლით 4%. liberali.ge-ზე განთავსებულ მასალათა უმრავლესობას ახლავს ფოტო სურათები - ილუსტრაციები ნეიტრალური ხასიათისაა. სათაურები მრავალფეროვანი და ნაკლებად ტენდენციურია.



news.ge

მონიტორინგის პერიოდში news.ge–ს გაშუქების არეალში მოექცა თითქმის ყველა აქტუალური თემა, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური თუ კულტურული საკითხები . ვებგვერდი ძირითადად მცირე ზომის, კომენტარის ტიპის სტატიებს აქვეყნებს, სადაც იშვიათადაა წარმოდგენილი სხვადასხვა მხარის პოზიცია, შესაბამისად იშვიათადაა დაცული ინფორმაციის წყაროებს შორის ბალანსი, თუმცა, ზოგადად წყაროთა მრავალფეროვნება შეინიშნება. მათ შორის, სტატიის წყაროდ ხშირად გვევლინება სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია.

ვებგვერდზე გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთავრობას აქვს, ხოლო რიგით მეორეა „ნაციონალური მოძრაობა“. თითქმის ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ „კოალიცია

ქართულ ოცნებასა“ და პრემიერ მინისტრს. აღსანიშნავია, რომ სხვა ვებგვერდებისგან განსხვავებით news.ge ერთერთი იშვიათია, რომელიც გარდა მთავრობის, „ნაციონალური მოძრაობის“, "ქართული ოცნების" და პრემიერ-მინისტრისა შედარებით აქტიურად აშუქებს სხვა სუბიექტებსაც. მონიტორინგის პერიოდში ვებგვერდზე ყველაზე ნეგატიურად "კოალიცია ქართული ოცნება" და მთავრობა გაშუქდა, ამ ორთან მიახლოებული მაჩვენებელი დაფიქსირდა "ნაციონალური მოძრაობისთვისაც".

ვებგვერდი ცდილობს იყოს მიუკერძოებელი, თუმცა მონიტორინგის პერიოდში მაინც შეგვხვდა რამდენიმე სტატია, სადაც შეინიშნებოდა გარკვეული დარღვევები. აღნიშნული დარღვევები ხშირ შემთხვევებში ავტორთა სუბიექტურ მსჯელობაში გამოიხატებოდა. მაგალითისთვის, სტატიას, რომელშიც ეწერა, რომ თინა ხიდაშელის აზრით, ლადო ბედუკაძის გათავისუფლება არასწორი გადაწყვეტილება იყო, სათაურად აქვს: "თინა ხიდაშელი არჩილ კბილაშვილს დაუპირისპირდა" (01.07). სტატიაში, მიუხედავად იმისა, რომ თინა ხიდაშელი აკრიტიკებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, ის არსად ამბობს, რომ უპირისპირდება პროკურორს, თუმცა სტატიის ავტორმა აღნიშული დასკვნის გამოტანა და სათაურად შერჩევა თავად გადაწყვიტა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში განხორციელებულ მონიტორინგთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ news.ge-ს გაშუქების სტილი შედარებით გაუმჯობესდა, რადგან უფრო ნაკლებად ან თითქმის არ გვხვდება ისეთი ტიპის დარღვევები, როგორიცაა შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია, გამოკვეთილად ნეგატიური ტონი ავტორის მხრიდან, დაუსაბუთებელი მსჯელობა და ა.შ.



presa.ge

მონიტორინგის პერიოდში presa.ge–ს გაშუქების არეალში მოექცა ძირითადად მხოლოდ ის თემები, რომლებიც უკავშირდებოდა „კოალიცია ქართულ ოცნებას“ ან „ნაციონალურ მოძრაობას“. სხვა თემები ვებგვერდზე ნაკლები ინტენსივობით, ან საერთოდ არ გაშუქებულა. მონიტორინგის პერიოდში არ შეინიშნებოდა წყაროების მრავალფეროვნება და ხშირად მეორდებოდნენ ერთი და იგივე რესპონდენტები ერთსა და იმავე თემებზე. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ ამბავს ან მოსაზრებას, არ ჰყავდა წყარო და ეყრდნობოდა ავტორის პირად შეფასებებს. ასევე, სტატიებში ინფორმაციის წყაროებად ხშირად გვხვდებოდა ანონიმური ან ნაკლებად სანდო წყაროები, ასევე სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციაც.

presa.ge-ზე აშკარად შეინიშნება განსაკუთრებულად უარყოფითი ტონი „კოალიცია ქართული ოცნებისა“ და მთავრობის მიმართ. ამას მონიტორინგის შედეგად მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლებიც მოწმობს. ამასთან, უმეტესად ნეიტრალური ტონი ფიქსირდება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიმართ, ხოლო პრეზიდენტის გაშუქების დინამიკა შედარებით თანაბარ პროცენტულ მაჩვენებლებად ნაწილდება უარყოფით, დადებით და ნეიტრალურ ტონებს შორის.

მონიტორინგის პერიოდში presa.ge–ს ავტორები არ ერიდებოდნენ არაეთიკური ტერმინოლოგიით წერას. იყო ფრაზები ან ტერმინები, როგორიცაა: "მეოცნებეები" (19.07), "ბიძინა მას ღიად და აშკარად "ახურავს". ხან პოლიტიკური წკიპურტებით უმასპინძლდება და ხანაც ჩამოლაბორანტებით", "ალასანიას პრემიერ–მინისტრის პოსტს არავინ მიაკარებს. თუმცა, ეს უთავმოყვარეო ვარსკვლავბიჭუნა მაინც ოცნებობს განდიდებაზე..." (19.07), "ხუხაშვილის ფავორიტი "ავტოგოლა" კალაძეა"(19.07) და ა.შ. ასევე, აღსანიშნავია, რომ ვებ–გვერდი არაერთ სტატიაში იყენებს ფოტოს, რომელიც სტატიის მიღმა კონკრეტული ქვეტექსტის მატარებელია და მკითხველზე გარკვეული მანიპულაციის საშუალებას წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას სათაურებზეც, ვებ–გვერდზე განსაკუთრებით ხშირად გვხვდება სათაურები, რომლებიც კითხვას წარმოადგენენ, ბოლოში კითხვის ნიშანი უზით და შინაარსით გარკვეულ მოსაზრებას ამტკიცებენ, ან არ წარმოადგენენ შეკითხვას, მაგრამ დასაწყისშივე ხაზს უსვამენ კონკრეტული სუბიექტური მოსაზრების ჭეშმარიტებას; მაგალითად: "შსს „ჯიჰადის ვიდეოს“ საქმეს არ ხსნის?" (21.06); "რატომ არ იძიებს ღარიბაშვილი „ჯიჰადის ვიდეოს“ საქმეს?"(25.06); "პოლიტიკური დევნა გრძელდება – საკრებულოს წევრთა უმრავლესობა დააკავეს" (27.06) და ა.შ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ presa.ge ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს საკმაოდ დაუბალანსებლად და მიკერძოებულად აშუქებს. აშკარად შეინიშნება დადებითი განწყობა პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის

მიმართ, ხოლო მეორე მხრივ უარყოფითი განწყობა პრემიერმინისტრის, მთავრობისა და „კოალიცია ქართული ოცნების“. ვებგვერდზე სისტემატურად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



civil.ge

მონიტორინგის პერიოდში civil.ge საკმაოდ დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ვებგვერდზე არ შეიმჩნევა გამოკვეთილად დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

მონიტორინგის სუბიექტებიდან civil.ge-ზე ყველაზე ინტენსიურად შუქდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ (37%), მთავრობისა (20%) და პრემიერმინისტრის (19%) საქმიანობა.

civil.ge სუბიექტების გაშუქებისას გამოირჩევა ნეიტრალური ტონის მაღალი მაჩვენებლებით. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა „ნაციონალური მოძრაობისა“ (22%) და მთავრობის (19%) საქმიანობის გაშუქებისას.

მონიტორინგის პერიოდში ვებგვერდი სისტემატურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. გვხვდება როგორც მოკლე, საინფორმაციო ხასიათის სტატიები, ასევე ვრცელი წერილები.

civil.ge ასევე გამოირჩევა ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნებით. ვებგვერდზე გვხვდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა მოსაზრებები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ civil.ge საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



tabula.ge

მონიტორინგის პერიოდში tabula.ge განახლებულ საიტზე ძირითადად მოკლე, საინფორმაციო ხასიათის მასალებს გვთავაზობს. tabula.ge-ზე განთავსებულ ახალ ამბებს ახლავს ნეიტრალური ხასიათის ფოტოები. საიტზე სათაურებად ხშირად არის გამოყენებული ოფიციალური პირების ციტატები. არ შეიმჩნევა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევები.

მასალები თავისი შინაარსით მრავალფეროვანია, საიტი ცდილობს ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის გადაფარვას. რედაქცია ძირითადად ნეიტრალური ტონით აშუქებს პოლიტიკოსთა საქმიანობას, თუმცა რიგ შემთხვევებში იკვეთება ნეგატიური ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლებიც - „კოალიცია ქართული ოცნება“ (52%);

მთავრობა (35%); პრეზიდენტი (31%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (29%). საგულისხმოა, დაბალანსებული ინფორმაციის ფონზე რედაქციის მიერ საერთაშორისო განცხადებების და უცხოური მედიის აქცენტირება სადაც მთავრობის მიმართ ნეგატიური ტონი და კრიტიკა ჭარბობს. ეს შეიძლება შეფასდეს ერთგვარ შეფარვით გამოვლინებად ტენდენციურობისა.

მასალები ძირითადად ერთ ოფიციალურ წყაროს ეყრდნობა, თუმცა დღის განმავლობაში რედაქცია ცდილობს სხვა წყაროების მოსაზრებებიც წარმოაჩინოს, რაც ამომწურავ ინფორმაციას ვერ იძლევა კონკრეტული მოვლენის შესახებ - მთლიანობაში გაფანტულად, მაგრამ დაბალანსებულად არის წარმოჩენელი საკითხები. საიტზე განთავსებული მასალების უმრავლესობა ოფიციალური პირების კომენტარებსა და განცხადებებს ეფუძნება. მონიტორინგის ამ პერიოდში არ იკვეთება საპრეზიდენტო კანდიდატების აქტიურობა. მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად შუქდებოდა მთავრობის (27%), პრემიერის (23%), „ნაციონალური მოძრაობისა“ (20%) და პრეზიდენტის (16%) საქმიანობა. რაოდენობრივ კვლევაში გამოიკვეთა დადებითი ტონით გაშუქებული სუბიექტი: გიორგი მარგველაშვილი (14%). თუმცა, საგულისხმოა, რომ ამ პროცენტული მაჩვენებელის გარკვეული ნაწილი პრემიერ მინისტრის გამოსვლებში საპრეზიდენტო კანდიდატის და განათლების მინისტრის შესახებ პოზიტიური საუბრის შედეგად იკვეთება.



garbonline.tv

მონიტორინგის პერიოდში garbonline.tv აშუქებდა როგორც რეგიონულ ამბებს, ასევე მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. პოლიტიკოსთა თუ სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის ამსახველი ვიდეომასალა ვებგვერდზე უმეტესად ხანმოკლეა და ხშირ შემთხვევებში პრესკონფერენციაზე გადაღებული მასალების ფრაგმენტებს წარმოადგენს. იშვიათია ჟურნალისტის კომენტარები თუ მსჯელობა. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტთა ტექსტები მომზადებულია ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების მაღალ დონეზე დაცვით. ვებგვერდი პოლიტიკურ მოვლენებს საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს და არ შეიმჩნევა დადებითი ან უარყოფითი განწყობა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ვებგვერდზე ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (47%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა „ნაციონალური მოძრაობის“ (49%), პრეზიდენტისა (26%) და მთავრობის (18%) მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ დადებითი ან უარყოფითი ტონი ამა თუ იმ სუბიექტის მიმართ ფიქსირდებოდა რესპონდენტთა და არა ჟურნალისტთა მხრიდან.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ garbonline.tv საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. ვებგვერდზე გვხვდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა მოსაზრებები. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ვებგვერდზე შეინიშნება მასალების სიმცირე და აქედან გამომდინარე ის სრულყოფილად ვერ ასახავს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს.



for.ge

მონიტორინგის პერიოდში ვებგვერდზე ძირითადად გვხვდებოდა საკმაოდ ვრცელი სტატიები, რომელთა უმეტესობას ინტერვიუები წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა უარყოფითად, შეიძლება ითქვას, მტრულადაც იყო განწყობილი პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ასეთი ინტერვიუების სიჭარბე გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ვებგვერდის რედაქცია საკმაოდ მიკერძოებულად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ასევე, აღსანისნავია უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი პრეზიდენტისა (84%) და „ნაციონალური მოძრაობის“ (61%) საქმოანობის გაშუქებისას.

ვებგვერდზე გვხვდება ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია გამოყენებულია არა მხოლოდ ყოფილი ხელისუფლების, არამედ მათთან სავარაუდოდ დაახლოებულ პირთა მიმართაც.

სტატიების სათაურად ხშირად იყო გამოყენებული რესპონდენტთა ციტატა, რომელიც საკმაოდ მძიმე ბრალდებებს შეიცავდა ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ; მაგალითად: „გია კრიალაშვილი სააკაშვილის ბრძანებით მოკლეს“ (26.06). მართალია ამ სათაურში ციტატა ბრჭყალებშია ჩასმული, თუმცა ეს განცხადება საკმაოდ მძიმე ბრალდებას შეიცავს და ჟურნალისტს მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება მსგავსი ციტატის სტატიის სათაურად შერჩევის დროს.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ for.ge საკმაოდ დაუბალანსებლად და მიკერძოებულად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. ხშირია ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.



dfwatch.net

მონიტორინგის პერიოდში ვებგვერდზე გვხვდება როგორც მოკლე, საინფორმაციო ტიპის სტატიები, ასევე საკმაოდ ვრცელი წერილებიც. ხშირ შემთხვევებში ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატიები იძლევა საკმაოდ ვრცელ ინფორმაციასა და სიღრმისეულ მსჯელობას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ. dfwatch.net საკმაოდ დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებს პოლიტიკოსთა თუ სხვადასხვა სახელწიფო უწყებათა საქმიანობას. ვებგვერდი გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით - აქტიურად შუქდება ახალი ამბები, ასევე ხშირია სხვადასხვა პოლიტიკოსთა თუ ექსპერთა ვრცელი წერილები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ვებგვერდზე შუქდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა მოსაზრებები.

მონიტორინგის პერიოდში თითქმის თანაბრად შუქდებოდა „ნაციონალური მოძრაობისა“ (33%) და მთავრობის (32%) საქმიანობა. ასევე, შედარებით ინტენსიურად შუქდებოდა „კოალიცია ქართული ოცნებისა“ (16%) და პრემიერმინისტრის (9%) საქმიანობა.

dfwatch.net მონიტორინგის სუბიექტთა გაშუქებისას გამოირჩევა ნეიტრალური ტონის მაღალი მაჩვენებლით. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა

„ნაციონალური მოძრაობის“ (19%), მთავრობისა (18%) და პრეზიდენტის (15%) საქმიანობის გაშუქებისას.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ dfwatch.net საკმაოდ მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ასევე, მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



palitratv.ge

მონიტორინგის პერიოდში palitratv.ge–ს გაშუქების არეალში მოექცა თითქმის ყველა გახმაურებულ მოვლენასთან დაკავშირებული ვიდეომასალა. ვებ–გვერდზე განთავსებულ ვიდეოსიუჟეტებში იშვიათად, თითქმის არ გვხვდება ფაქტები, როდესაც რომელიმე პოლიტიკური მხარის განცხადებას მოჰყვება მეორე მხარის კომენტარი. ეს გარკვეულწილად იმითაა გამოწვეული, რომ ვებ–გვერდი ხშირად ჭრის კონკრეტულ მონაკვეთებს ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებიდან და საკუთარ გვერდზე ათავსებს. შედეგად, ჟურნალისტთა ტექსტების ნაკლებობის გამო, ვებგვერდზე დაბალია ნეიტრალური ტონის მაჩვენებელი.

მიუხედავად თემატური მრავალფეროვნებისა, მონიტორინგის პერიოდში ყველაზე ინტენსიურად მაინც პრეზიდენტის საქმიანობა გაშუქდა და მასთან მიახლოებული მაჩვენებლით –მთავრობის. თუმცა, მთავრობა უფრო მეტად გაშუქდა უარყოფით ტონში, ვიდრე პრეზიდენტი. ამას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ არ ყოფილა პრეზიდენტის არცერთი სატელევიზიო მიმართვა, რომელიც palitratv.ge-მ თითქმის სრულად არ განათავსა საკუთარ ვებგვერდზე. პრეზიდენტი კი, ხშირ შემთხვევებში, მთავრობის საქმიანობას უარყოფითად აფასებდა, რამაც გარკვეულ წილად განაპირობა ვებგვერდზე

მთავრობის მიმართ უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი. გაშუქების უარყოფითი ტონით მეორე ადგილზე დგას "ნაციონალური მოძრაობა". საინტერესოა ისიც, რომ კოალიცია "ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატი, გიორგი მარგველაშვილი, რომელსაც საერთო გაშუქების ძალიან მცირე წილი დაეთმო, გაშუქებულია უმეტესად ნეიტრალური და ნაწილობრივ დადებითი ტონით.

ვინაიდან ვებგვერდზე იშვიათადაა წარმოდგენილი რედაქციის მიერ მომზადებული ანალიზის შემცველი მასალა, რომელიც უშუალოდ palitratv.ge–სთვის მზადდება, ნაკლებ შესაძლებელი ხდება ავტორების მხრიდან ეთიკის ნორმების დაცვის შეფასება. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ვებგვერდი ცდილობს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მიუკერძოებლად გაშუქებას. თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა კომენტარები. დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



დასკვნა

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ქართულ ონლაინ მედიაში საკმაოდ ინტენსიურად შუქდებოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში მთავარი ყურადღება ეთმობა პოლიტიკურ პარტიებს და არა საპრეზიდენტო კანდიდატებს. ჭარბობს ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ - დაკავებები, ფარული ჩანაწერების აღმოჩენა და ა.შ.

ზოგადი ტენდენციების სახით, ონლაინ მედიაში შემცირდა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები - კერძოდ, დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია. განსაკუთრებით აღსანიშნავია droni.ge, რომელმაც რადიკალურად შეცვალა მუშაობის სტილი.

მთავარ პრობლემად ონლაინ მედიაში რჩება ახალი ამბების მოკლედ და ზედაპირულად გაშუქება. ასევე, ინფორმაციის წყაროთა ნაკლებობა.

მთავრობის, პრემიერმინისტრისა და „კოალიცია ქართული ოცნების“ სისტემატური კრიტიკით გამოირჩეოდა presa.ge და droni.ge. პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის სისტემატური კრიტიკით - for.ge.